



ბაროკოული კალია, იმაგო

იმაგოს მორფოლოგია

საშუალო ზომისაა, მოხდენილი აღნაგობის. წინაფრთები სცდება უკანა ბარძაყის სახსრის კუთხეს. უფრო ფრთებით. სხეულის შეფერილობა მორუხო-მოყვითალოა, მუქი ლაქებით. უკანა წვივები ჩვეულებრივ, წითელია, იშვიათად ყვითელი, ვარდისფერი ან მოთეთრო. წინაზურგე არსებული ჯვრისმაგვარი ნახატი მოყვითალო ან მოთეთროა, მისი ზოლები ვიწროა და თითქმის არ ფართოვდება ქვედა ნაწილში. მამრების მასა დაახლოებით 0,6 გ, მდედრების - 1,3 გ.


Table with 4 columns: სქესი/ნიმანი-თვისება, სხეულის სიგრძე, მმ, წინაფრთის სიგრძე, მმ, უკანა ბარძაყის სიგრძე, მმ. Rows: მამრები, მდედრები.



პოვნის ფაზის ინდიკატორები

ერთეული ფაზის ინდიკატორები


ჯგუფობები/კვერცხები



მამრების და მდედრების მუცლის აგებულების განსხვავება



ატბასარული კალიის წინაზურგე X-ის მაგვარი ნახატი ქვედა ნაწილში ზოლები უფრო ფართოა მაროკოულ კალიასთან შედარებით.



მაროკოული კალიის უკანა ბარძაყი, ატბასარული კალიის უკანა ბარძაყი, წინაფრთების სიგრძის (E) და უკანა ბარძაყის სიგრძის (F) გაზომვები

ერთეული და ჯგუფური ფაზების იმაგოს განსხვავება



Table with 3 columns: ფაზა/ნიმანი-თვისება, ერთეული, ჯგუფური. Rows: მამრის სხეულის სიგრძე, მდედრის სხეულის სიგრძე, ინდექსი E/F, საერთო შეფერილობა, სამი მუქი, თითქმის შავი ლაქა, უკანა ბარძაყის ზედა მხარეზე.

ახლომდგომი სახეობები

ხშირად თანაარსებობს ახლომონათესავე სახეობასთან, კერძოდ, ატბასარულ კალიასთან (Dociostaurus kraussi) ერთად. ამ უკანასკნელს აქვს უფრო მსხვილი სხეული, გამსხვილებული უკანა ბარძაყები, უფრო მოკლე ფრთები (მოკლეა მუცელთან შედარებით). წინაზურგე არსებული X-ის მაგვარი ნახატი ნათელი ზოლები უფრო ფართოა. ატბასარული კალიის მატლების კვერცხიდან გამოდიან ერთი კვირით ადრე. ეს წარმოადგენს მაროკოული კალიის მალე გამოსვლის კარგ ინდიკატორს.


მაროკოული კალია

Dociostaurus maroccanus (Thunberg, 1815) საქართველოში: ბიოლოგია, ეკოლოგია, მონიტორინგი



პარკუჭანა

ოდნავ მოხრილი ან სწორი, ქვედა ნაწილში შესქელებულ სიგრძე 16-35 მმ. კედლები საკმაოდ მყარი, თხანარევი; გამოსასვლელი ნახვრეტი დაფარულია საცობით. კვერცხ რაოდენობა 18-42 ცალია (საშუალოდ 30-36 ცალი). დაფარულია წვრილქაფიანი გამჭვირვალე სეკრეტით.



ფენოლოგია

ადრე გაზაფხულის სახეობაა. გამოსვლა, როგორც წესი, იწყება აპრილის პირველ დეკადაში (ველალ-აბადის ოლქიდან). გამოსვლა ერთდროული, მასობრივია, ერთ სტაქიაზე სრულდება 3-5 დღეში. მატლის თითოეული ასაკის განვითარების ხანგრძლივობა შეადგენს ხუთ-შვიდ დღეს. იმაგოს ფრენები იწყება დაფრთხილებიდან 10-15 დღის შემდეგ, ისევე როგორც კვერცხდება (ჩვეულებრივ, ივნისში). კვდობა იწყება ივლისში.

საკვები მცენარეები

პოლიფაგი მავნებელია, აზიანებს მარცვლოვნებს, პარკონებს, ბოსტნეულს, ბამბას, ბალჩეულს, ხეხილს, ვაზს და ტყის წიწვოვან ჯიშებსაც. მატლები კერ ჯამენ საძოვრების ბუნებრივ მცენარეულობას გამოსვლის ადგილებში, ხოლო შემდეგ ეშვებიან დაბლობებში და შეეცვიან ნათესებს.

მაროკოული კალიის მონიტორინგი (გამოკვლევა)

რეკომენდებულია წელიწადში ოთხი გამოკვლევა. ისინი უნდა ჩატარდეს დილით, 6-დან 10 საათამდე ან 17 სთ-ს შემდეგ.

- 1. იმაგოების კვლევები მასობრივი კვერცხების დროს. მიზანი: კვერცხების ადგილების გამოვლენა. ამ გამოკვლევების საფუძველზე დგება წინასწარი პროგნოზი დასახლებული ფართობების თაობაზე მომდევნო წლისთვის; როდის: დაახლოებით მასობრივი დაფრთხილების დანეშებიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ; როგორ გამოვიკვლიოთ: წინასწარ დაგეგმილი პარალელური მარშრუტების გავლით და აღრიცხვების ადგილით. მარშრუტებს შორის ნიადაგის ნიმუშებს, დაახლოებით 1 ნიმუში 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით; ასევე შეაგროვეთ მინიმუმ 20 ერთეული იმაგო, ფაზური მდგომარეობის (E/F ინდექსი) და კვერცხების სიმრავლის განსაზღვრად. 2. პარკუჭანების სამემოდგომო გამოკვლევები. მიზანი: დასახლებული ფართობების გამოვლენა. ამ გამოკვლევების საფუძველზე შედგება დასახლებული ფართობების პროგნოზი მომდევნო წლისთვის; როდის: სექტემბერ-ოქტომბერში, ყველა იმაგოს კვდობის შემდეგ; როგორ ტარდება: ისევე, როგორც წინა გამოკვლევები. ამ დროს იღებენ ნიადაგის ნიმუშებს, დაახლოებით 1 ნიმუში 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით; როგორ იღებენ ნიადაგის ნიმუშს: იჭრება ნიადაგის ზედა ფენა, 50სმX50სმ და 5-8 სმ სიღრმეზე. ითვლება პარკუჭანების რაოდენობა

- და მრავლდება 4-ზე, 182-ზე პარკუჭანების რაოდენობის მისაღებად. ითვლება პარკუჭანებში კვერცხების საშუალო რაოდენობა და ენტომოფაგებით და დაავადებებით დაზიანებული პარკუჭანების რაოდენობა. 3. პარკუჭანების საგამაფხულო გამოკვლევები. მიზანი: უნდა გაირკვეს, როგორ გამოიხატოს პარკუჭანებში კვერცხებმა. ამ გამოკვლევების საფუძველზე ზუსტდება მიმდინარე წლისთვის დასახლებული ფართობების პროგნოზი; როდის: გამოსვლამდე, როგორც წესი, თებერვალში - მარტის დასაწყისში; როგორ ტარდება: ზუსტად იგივენაირად, როგორც პარკუჭანების სამემოდგომო გამოკვლევები, მაგრამ შერჩევითად, დასახლებული ფართობის 10%-ზე, დაახლოებით ერთი ნიმუში 10 ჰა-ზე. ითვლება ენტომოფაგებისგან და კვერცხების დაავადებისგან დაღუპული კვერცხები. 4. მატლების გამოკვლევა გამოსვლის პერიოდში. მიზანი: მატლებით დასახლებული დასახლებული ფართობების დაზუსტება. ეს გამოკვლევები უმთავრესი ღონისძიებაა წარმატებული დამუშავებისთვის; როდის: მატლების მასობრივი გამოსვლის პერიოდში, როგორც წესი, აპრილის შუა რიცხვებიდან; როგორ ტარდება: ისევე, როგორც იმაგოების გამოკვლევები, მარშრუტები 100 მ-ს შემდეგ და აღრიცხვები 100 მ-ს შემდეგ. განისაზღვრება მატლების რიცხოვნობა (გადასხვარება რაოდენობა) და ასაკი (საჭერებით მატლების დაჭერით და მათი ფრთების ჩანასახების მდგომარეობის შესწავლით).



საარსებო გარემო მთისწინების მიმდებარე ნახევარუდაბნოები, სადაც იზრდება ეფემერული მცენარეები. დომინანტური მცენარეა ბოლქვიანი თივაქსსრა Poa bulbosa var. Vivipara. ნიადაგი - მცირედ მარილიანი, ქვიშიანი თიხნარი. ზღვის დონიდან სიმაღლე 800-1200 მ, მაგრამ XXI საუკუნეში, კლიმატის დათბობის გამო, ხდება მისი განსახლება უფრო მაღალა (1500 მ და მეტი). შესაფერისი პირობები იქმნება საქონლის მიერ გადაძოვების შედეგად. ზოგჯერ ადგილი აქვს მაროკოული და იტალიური კალიების შერეული დასახლებას. მასობრივ გამრავლებას, ჩვეულებრივ, ხელს უწყობს გვალვა - 100 მმ-ზე ნაკლები ნალექი მარტიდან მაისის ჩათვლით.

მაროკოული კალიის ძირითადი კერები საქართველოში: ვარდისფერი მამრების გუნდებში შეიძლება შევხვდეთ მუცლის მატლების რიცხოვნობა ჯგუფში. პარკუჭანების მტრები - სამიდიფარა ხოჭოები (ოჯახი Meloidae) და ბუზი-ბუზარები (ოჯახი Bombyliidae). მატლებისა და იმაგოს მტრებად აღსანიშნავია ზღარბა ბუზები (ოჯახი Tachinidae). ბუნებრივი მტრები განსაკუთრებით აქტიურები არიან მაროკოული კალიის პოპულაციის დინამიკის შემცირებისას.



ძირითადად წარმოდგენილია ქვეყნის აღმოსავლეთით, კახეთში, ქვემო ქართლში, აზერბაიჯანის მომიჯნავე ტერიტორიებზე.